სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი პროექტის - "საქართველოს საზღვრები", ერთ-ერთი მიმართულების - "ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები მოსაზღვრე კავკასიის ხალხებთან და  მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება", 2022 წლის თემატიკით განსაზღვრული იყო თემის: "ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ხალხებთან," შესრულება. კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, 2022 წლის 1 აგვისტოდან 8 აგვისტომდე მეცნიერთა ჯგუფმა, კერძოდ: კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების (განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მ/თ **როლანდ თოფჩიშვილი;** მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **სალომე ოქრუაშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი**; უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: **ნათია ჯალაბაძე, ირმა კვაშილავა** და მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი ავთანდილაშვილი**), საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების (მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი მამარდაშვილი**) და ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე **ვალერიან ვაშაკიძე**) თანამშრომლებმა მოაწყვეს ექსპედიცია დუშეთის მუნიციპალიტეტში. საველე-ეთნოგრაფიული სამუშაოები ჩატარდა სოფლებში: ბარისახო, როშკა, ახიელი, შატილი, მუცო, არდოტი, გუდანი, ბისო, ხახმატი, ბაცალიგი. მოპოვებული მასალა დამუშავდა და გამოყენებული იქნა წლიურ ნაშრომებში.